საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного Совета народных депутатов

№98 (6325) 18 აგვისტო 1990 წელი შაბათი ფასი 3 კაპ.

გუშინ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის მეთექვსმეტე სესია დღის წესრიგით:

1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონპროექტების განხილვის შესახებ.

2. მოქალაქეთა მრავალწლიანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის დასკვნის შესახებ.

3. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება

### 20-50-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების ყველა მსხვერპლის უფლებათა აღდგენის შესახებ

წარსულის მძიმე მემკვიდრეობაა მასობრივი რეპრესიები, თვითნებობა და უკანონობა, რომლებსაც სჩადიოდა სტალინის ხელმძღვანელობა რევოლუციის, პარტიის, ხალხის სახელით. 20-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებული თანამემამულეთა პატივისა და თვით ცხოვრების შებღალვა გრძელდებოდა რამდენიმე ათწლეულს. უსასტიკესი თანამიმდევრულობით ათასობით ადამიანი მორალურად და ფიზიკურად აწამეს, მრავალი მათგანი მოსპეს. მათი ოჯახებისა და ახლობლების ცხოვრება გადაიქცა დამცირებისა და ტანჯვის შავბნელ ზოლად.

სტალინმა და მისმა გარემოცვამ მიითვისეს პრაქტიკულად შეუზღუდავი ძალაუფლება და წაართვეს საბჭოთა ხალხს თავისუფლებანი, რომლებიც დემოკრატიულ საზოგადოებაში ბუნებრივად და განუყოფლად არის მიჩნეული.

მასობრივი რეპრესიები უმეტესწილად ხორციელდებოდა სასამართლოგარეშე ანგარიშსწორების გზით ეგრეთ წოდებული საგანგებო თათბირების, კოლეგიების, „სამეულებისა" და „ორეულების" მეშვეობით. მაგრამ სასამართლოებშიც ფეხქვეშ ითელებოდა სასამართლო წარმოების ელემენტარული ნორმები.

სკკპ XX ყრილობის მიერ დაწყებული სამართლიანობის აღდგენა არათანამიმდევრულად ხდებოდა და არსებითად შეწყდა 60-იანი წლების მეორე ნახევარში.

რეპრესიებთან დაკავშირებული მასალების დამატებითი შესწავლის სპეციალურმა კომისიამ მოახდინა ათასობით უდანაშაულოდ მსჯავრდადებულის რეაბილიტაცია, გაუქმდა უკანონო აქტები მშობლიური ადგილებიდან დევნილი ხალხების წინააღმდეგ; უკანონოდ ცნეს პოლიტიკური საქმეების გამო 30-50-იან წლებში გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის—სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სასამართლოგარეშე ორგანოების გადაწყვეტილებანი; მიღებულია სხვა აქტებიც თვითნებობის მსხვერპლთა უფლებების აღდგენის შესახებ.

მაგრამ დღესაც ჯერ კიდევ აღძრული არ არის ათასობით სასამართლო საქმე. უსამართლობის ლაქა დღემდე ვერ მოშორებია საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც უდანაშაულოდ დაზარალდნენ ძალადური კოლექტივიზაციის დროს, დააპატიმრეს, გაასახლეს ოჯახებითურთ შორეულ რაიონებში არსებობის სახსრების გარეშე, ხმის უფლების გარეშე, თავისუფლების აღკვეთის ვადის გამოცხადების გარეშეც. რეაბილიტირებულ უნდა იქნენ სამღვდელოების წარმომადგენლები და მოქალაქეები, რომლებსაც სდევნიდნენ რელიგიური მოტივებით.

ყველამ ჩვენ, მთელმა საზოგადოებამ, რომელიც დაადგა მორალური აღორძინების, დემოკრატიისა და კანონიერების გზას, რაც შეიძლება მალე უნდა დავძლიოთ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ნიადაგზე უკანონობათა, პოლიტიკურ დევნათა შედეგები.

პრინციპულად ვგმობ რა მასობრივ რეპრესიებს, მიმაჩნია ისინი ცივილიზაციის ნორმებთან შეუთავსებლად და სსր კავშირის კონსტიტუციის 127 და 114 მუხლების საფუძველზე ვადგენ:

1. მიჩნეულ იქნეს უკანონოდ, ადამიანის ძირითადი მოქალაქეობრივი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების საწინააღმდეგოდ რეპრესიები, რომლებიც ხორციელდებოდა გლეხთა მიმართ კოლექტივიზაციის პერიოდში, აგრეთვე ყველა სხვა მოქალაქის მიმართ პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული, რელიგიური და სხვა მოტივებით 20-50-იან წლებში, და მთლიანად აღდგეს ამ მოქალაქეთა უფლებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოკავშირე რესპუბლიკათა მთავრობებმა, ამ ბრძანებულების შესაბამისად, 1990 წლის 1 ოქტომბრამდე საკანონმდებლო ორგანოებში შეიტანონ წინადადებანი რეპრესიების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების უფლებათა აღდგენის წესის შესახებ.

2. ეს ბრძანებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც საფუძვლიანად მსჯავრდადებული არიან დიდი სამამულო ომის დროს, ომისწინა და ომისშემდგომ წლებში სამშობლოს და საბჭოთა ადამიანების წინააღმდეგ დანაშაულობათა ჩადენისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიტანოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში პროექტი საკანონმდებლო აქტისა, რომელიც განსაზღვრავს ამ დანაშაულობათა ნუსხას და იმ პირთა სასამართლოში აღიარების წესს, რომლებიც მსჯავრდადებული არიან მათი ჩადენისათვის და არ ექვემდებარებიან რეაბილიტაციას ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული საფუძვლებით.

3. ვითვალისწინებ რა 20-50-იან წლებში უსაფუძვლოდ რეპრესირებული მოქალაქეების უფლებათა აღდგენასთან დაკავშირებული ყველა საკითხის სრული გადაჭრის პოლიტიკურ და სოციალურ მნიშვნელობას, დაეკისროს ამ პროცესის მეთვალყურეობა სსრ კავშირის საპრეზიდენტო საბჭოს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი **მ. გორბაჩოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 13 აგვისტო.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

### მინდვრისა და ფერმის პროდუქციის ახალი ფასები

9 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება 1991 წლის 1 იანვრიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი სახელმწიფო შესასყიდი ფასების შემოღების შესახებ, ისინი დამტკიცებულია საკავშირო დონეზე პროდუქციის შეზღუდული ნაწილისათვის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პერიოდში.

მთავრობამ დააწესა მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, ბამბის, სელის პროდუქციის, თამბაქოს, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, პირუტყვისა და ფრინველის ძირითადი სახეობების, რძისა და ნაღების შესასყიდი ფასები, საშუალოდ ისინი 32 პროცენტით იზრდება. სამარცვლე კულტურების ახალი ფასები, როგორც ცნობილია, შემოღებული იყო მაისში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის ყველა დანარჩენი სახეობის შესასყიდი ფასების დადგენის წესსა და დონეს ამიერიდან განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობები. გათვალისწინებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ ფასების ყოველწლიურ კორექტირებას სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებს შორის გაცვლის საჭირო ეკვივალენტურობის შესანარჩუნებლად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესასყიდი ფასები დაკავშირებულია სამრეწველო პროდუქციისა და მომსახურების ახალ საბითუმო ფასებთან და ტარიფებთან, დაბეგვრის, დაზღვევისა და ბიუჯეტებთან სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სხვა ურთიერთობების შეცვლასთან, რაც უკეთეს პირობებს უქმნის სამეურნეო ანგარიშის პრინციპებით მუშაობას.

## მოდის ლეჩხუმური ხილი



სასურსათო კომბინატი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოა რაიონში, რომელიც გლეხის მიერ მოწეულ ხილს ამუშავებს და მიღებულ პროდუქციას აწვდის ჩვენი ქვეყნის მშრომელებს.

ახლა საწარმოში გაცხარებული მუშაობის დღეებია. წელს 1700 ტონა ხილი უნდა მიიღონ და გადაამუშაონ. დღეისათვის მიღებული და გადამუშავებულია 140 ტონა.

კომბინატის ხელმძღვანელებს, კოლექტივს კარგად ესმის ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა, მისი ძნელი ეკონომიკა, ბრძოლა საქართველოს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. ესმით ისიც, რომ ეკონომიკური ძლიერებისათვის უფრო მეტი მუშაობაა საჭირო. არც ერთი წუთი უქმად არ უნდა დაიკარგოს, ხილის გადამუშავება სწრაფად და უდანაკარგოდ უნდა მოხდეს. ამიტომ არსებული სიძნელეების მიუხედავად კომბინატის თანამშრომლები ყველაფერს აკეთებენ პროდუქციის გამოშვების საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის.

ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ზ. გზოგავამ მაშინ გადაიღო, როცა მუშათა ერთი ჯგუფი კურკოვანი ხილის საკომპოტედ დაფასოებასა და მინის ქილებში ჩაწყობაზე მუშაობდა.

## თვალსაზრისი

# სოფლის ცენტრი:
## ანუ ღირს დაფიქრებად

თუ არ ვცდები ამ ორიოდე წლის უკან რაიონულ გაზეთში გამოქვეყნდა ა. ჩიქოვანის ვრცელი წერილი, სადაც დღევანდელობით წამოჭრილ სხვადასხვა საკითხებთან ერთად სოფ. გვესოს მაგალითზე სოფლის ცენტრის ფუნქციური დატვირთვის შენარჩუნების აუცილებლობა და აქედან დანახული პრობლემებიც იყო ხაზგასმული. უდაოდ საჭირბოროტო საკითხი მაინც დარჩა „ხმად მღაღადებლისა“ და იგი ჭეშმარიტი დაფიქრების საგნადაც არ, ქცეულა.

ვისაც ლეჩხუმური სოფლის განვითარების ტრადიციებში ოდნავ მაინც ჩაუხედავს, მისთვის საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ სოფლის ცენტრი არა მარტო ადმინისტრაციულ-კულტურული მომსახურების ფუნქციას ასრულებდა, არამედ სხვა შინაარსობრივი დატვირთვაც გააჩნდა. სოფლის გლეხკაცის ბუნება ისეთია, უპირველეს ყოვლისა საკუთარი კარმიდამოსაკენ გაურბის თვალი (და ეს სავსებით ბუნებრივი პროცესია), მაგრამ კოლექტივიზმი და ერთიანობა იმაშიც ვლინდებოდა, რომ მთელი სოფელი ცდილობდა ცენტრი ყოფილიყო ლამაზი, მიმზიდველი, კეთილმოწყობილი. სწორედ აქედან იზომებოდა და იწყებოდა სოფლის შეძლება, მისი ავკარგი. ეს კი მხოლოდ პატივმოყვარეობისათვის როდი კეთდებოდა. თვით ამ საქმეში იჩენდა თავს სოფლის ერთობა, რომელიც დიდი ილიასი არ იყოს, მართლაცდა საფუძველთა საფუძველია საქართველოს ერთიანობისა და მისი უკვდავებისა.

გადავშალოთ ქართული ენციკლოპედია: „ალვი—ცაგერის რაიონის სოფლების ზედა ალვის, შუა ალვის, ქვედა ალვის ძველი სახელწოდება“ გვაწვდის ინფორმაციას უპირველესი სამეცნიერო-საცნობარო წიგნი. ნეტავი ჩვენ, მართლაცდა ასე რომ იყოს. შებრუნებით რომ დაეწერა სტატიის ავტორს ალბათ უფრო უპრიანი იქნებოდა, სადღაა ახალსოფლებად მონათლული მართლაცდა ძველი სოფლები. იგი მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის რაიონულ დავთრებში თუ იხსენიება.

სოფელში 4 კოლმეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა სახნავ-სათესი, სათიბი, ვენახი, ბაღი, საქონელი არც მეტი არც ნაკლები 5-ჯერ აღემატებოდა დღევანდელობით ლასურიაშის ე. წ. დამსხვილებული (8 სოფელი) კოლმეურნეობის დღევანდელ მონაცემებს. დღეს ასეთი მაგალითი ყველა სოფელზე შეგვიძლია მოვიყვანოთ და აქედან გამომდინარე რაიმე აღმოჩენას სრულიადაც არ ვიჩემებ, მაგრამ სოფლის უკუსვლა ეკონომიკის მოშლასთან ერთად სოფლის ცენტრების მოშლამაც გამოიწვია (აქ მხედველობაში მხოლოდ ადმინისტრაციული რგოლების გაუქმება როდი მაქვს).

ხშირად ვიძახით: მიგრაცია ნორმალური პროცესიაო! ნორმალური ჭარბი მოსახლეობის განსახლება ან ე. წ. ურბანიზაციაა, თორემ სტიქიური მიგრაციის ნორმალურობა ვის გაუგონია! განა ნორმალურად შეიძლება მიიჩნიოს კაცმა ის, რომ აგერ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში რაიონის მოსახლეობა 32 ათასიდან 17 ათასამდე შემცირდა? რომელ ნორმაზე შეიძლება საუბარი, როდესაც დავხურეთ ერთ დროს მოსწავლემრავალი ცხუკუშერის სკოლა, უახლოეს პერიოდში დახურვის კანდიდატურაა ლაილაშის ტრადიციული ერთ-ერთი პირველი სასწავლებელი, რომლის ასწლოვანი იუბილეს ზეიმიც ჩვენ უნდა გადავიხადოთ. ნეტავ რა გვეზეიმება, ის ხომ არა რომ ერთ დროს ბავშვმრავალი სკოლა „ნორმალური“ პროცესის გამო 56 ბავშვამდე დავიყვანეთ.

ჭეშმარიტებაა, დემოგრაფიული სიტუაციის რეგულირება რაიონის წინაშე არსებულ პრობლემათაგან უმთავრესია, რამეთუ ადამიანია ყველაფრის საწყაო და სწორედ ადამიანების მიერ შექმნილი ეკონომიკაც, კულტურაც, სოციალური გარემოც და გნებავთ სწორი ეკოლოგიური პროცესებიც ისევ ადამიანისათვის გვჭირდება. ყველას გვინახავს უადამიანობით გაველანებული მინდორ-ველები, დამეწყრილი სათიბ-საძოვრები, სავარგულები, თორემ როდესაც ლეჩხუმი უფრო ხალხმრავალი იყო არც ამდენი მეწყერი და წყალდიდობა ყოფილა (თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბევრი პროცესი სტიქიური მოვლენებისა ზოგიერთთა და ზოგიერთთა უთაობამ გამოიწვია). ადამიანი არეგულირებდა ყველაფერს, მან ყველაზე კარგად იცოდა გზა სად გაეყვანა, ტყე სად გაეკაფა, წყლისათვის რა გზა-სავალი მოენახა. დღეს კი რა გამოვიდა, უადამიანობით ველანდება ლეჩხუმი, არადა ლეჩხუმელი კაცის გარეშე რაიმე ნაკრძალად ან აღკვეთილად ხომ არ გვინდა გამოვაცხადოთ საქართველოს ეს ერთ-ერთი სისხლისმიერი უჯრედი?

მე არც დემოგრაფი ვარ და არც სოციოლოგი, მაგრამ წერილის სათაურში დასმულ საკითხს თუნდაც იმიტომ გადავუხვიე, რომ დემოგრაფიული პრობლემები დიდი კომპლექსია, რომლის რეგულირებაში თავისი სიტყვა უნდა თქვას სოფლის ცენტრების გამართულმა და შინაარსობრივმა დატვირთვამ. ეს საკითხი მით უფრო წინა პლანზე იწევს დღეს, როდესაც რეალურად ხორციელდება დიდი საგლეხო რეფორმა, კოლმეურნეობების ლიკვიდაცია და წვრილგლეხურ მეურნეობაზე, სხვადასხვა კოოპერაციულ ფორმებზე გადასვლა.

ფაქტი ერთია, ლეჩხუმის არცერთმა სოფელმა თავისი ტრადიციული ცენტრი არ უნდა დაკარგოს!

აღნიშნული ღირს დაფიქრებად თუნდაც იმიტომ, რომ სავსებით გამორიცხული არ არის ჭარბი მუშახელის ქალაქებიდან განტვირთვის პროცესმა ტრადიციული მემკვიდრეობის სოფელში დაბრუნების საკითხიც დააყენოს (ამის პრეცედენტი რამდენიმე სოფელში უკვე გვაქვს).

იქნებ ვინმემ იკითხოს მერედა ვინ გვართმევს ამ სოფლის ცენტრებსო?

გვართმევენ და ხშირად აღნიშნული ადამიანების კაპრიზზე სულაც არ არის დამოკიდებული. დრო გვართმევს, ცხოვრების მდინარება (ხშირად არასწორიც) გვართმევს.

რადგან წერილის დასაწყისში სოფელ ალვზე გავამახვილეთ ყურადღება, მის მაგალითზეც განვიხილოთ აღნიშნული საკითხი.

ლეჩხუმში იშვიათია სოფელი, რომელიც თავისი რელიეფის გამო ერთ—კომპაქტურ დასახლებულ ერთეულად იყოს შეკრული. ამიტომ ჩვენს წინაპრებს სრულიადაც არ დავიწყებიათ, რომ ზოგიერთი „ცენტრისტული“ ფუნქციის და შინაარსის მატარებელი შენობა-დაწესებულებანი ისე გაენაწილებინათ სოფლის უბნების მიხედვით, რომ სოფლის ცენტრს მაინც არ დაკარგოდა თავისი შინაარსი. ზოგან ეკლესია-სასაფლაო მოთავსდა, ზოგან ბეღელ-მარანი და წისქვილები, ზოგან სასწავლებლები და სხვა. მაგრამ ძირითადი ადმინისტრაციულ-კულტურული მომსახურების ობიექტები მაინც სოფლის ცენტრში იყრიდა თავს. 15 წლის წინათ ალვის სხვადასხვა უბანში 3 სკოლა ფუნქციონირებდა, ამაზე გაცილებით მეტი ნალიაბეღელი, ძველად სოფელში ეკლესიის ოთხი შენობაც იდგა. დღესაც ნაკანტორებს ეძახიან იმ ადგილებს, სადაც სამეურნეო ხელმძღვანელთა ადმინისტრაციული შენობები იყო განაწილებული. შემდეგ კი ჯერ იყოდა თვით სოფლის შიგნით წავიდა კოლმეურნეობათა გამსხვილება, რომელმაც თავისთავად გამოიწვია „მიკროსოფლების“ ცენტრების სიცოცხლის ჩაკვდომა, შემდეგ კი მთლად კოლმეურნეობები 6-8 სოფლიან რეგიონებად გააერთიანეს და აქ უკვე საფრთხე თვით სოფლის ძირითად, ტრადიციულ ცენტრს შეექმნა, იქ, სადაც სასოფლო საბჭოა კიდევ არა უშავს, მაგრამ ფაქტია, სამეურნეო დანაყოფის მოცილებამ თვით საბჭოს ფუნქციების, მისი მოვალეობის შეკვეცა და ხშირად მუშაობის მოდუნებაც გამოიწვია.

ამას წინათ გადაუწყვეტიათ, რომ კავშირგაბმულობის ალვის განყოფილება სოფლის ცენტრიდან ქვედა ალვში უნდა იქნეს გადატანილიო. არგუმენტიც ალბათ ძლიერი აქვთ ამ მოსაზრების ავტორებს, მოსახლეობის დიდი ნაწილი ხომ დღესდღეობით სწორედ ქვედა ალვში ცხოვრობს, ამიტომ მათ მართლაც და ახლოს უნდა ექნეთ მომსახურების ყველა ობიექტი. სამართლიანი არგუმენტია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ შატილს მთელი რესპუბლიკა აშენებს და ამშვენებს აგერ უკვე 10—15 წელია და ამ პერიოდში იქ მხოლოდ 10-მდე კომლი თუ დაფუძნდა. ჩვენ რას ვუპირებთ ზედა, შუა ალვისა და კენაშის 100 კომლზე მეტ 170 სულიან სოფლებს, რომელთა შენარჩუნებისათვის ყველა ღონისძიებას უნდა ვხმარობდეთ. იმას ხომ არა, რომ საყოფაცხოვრებო და მომსახურების ობიექტებს კიდევ უფრო ვაშორებთ მათ საცხოვრებლებს? როგორა გგონიათ, ასეთი გადაწყვეტილება დააჩქარებს თუ შეანელებს ისედაც თითო-ოროლა შემორჩენილი ახალგაზრდის წასვლას სოფლიდან?

მეორე არგუმენტიც გააჩნიათ ალბათ ასეთი აზრის მატარებლებს, ქვედა ალვი ხომ უფრო ახლოა რესპუბლიკურ გზასთან და თავისთავად გაიოლდება სამშენებლო მასალების მიზიდვა. ჯერ ერთი, სოფლის ცენტრამდეც მშვენიერი მოკირწყლული გზაა, სადაც საავტობუსო რეგულარული მარშრუტია დანიშნული და ესეც რომ არ იყოს, ისეთი მშენებლობებით ხელს უნდა ვუწყობდეთ გზების შეკეთება-კეთილმოწყობას და არა პირიქით, ყველანაირად ვცდილობდეთ, რომ ისედაც გაუდაბურებული სოფლები მთლად მოიშალოს. იმით არგუმენტაცია, რომ არსებული კავშირგაბმულობის შენობა მეწყრულ ზონაშია, ვერაფერიშვილია. რა, ალვის ცენტრში თავისუფალი მიწები დაილია?

და მესამეც, მთავარი, სადაა ხალხის აზრი? ერთეულთა მოსაზრების მთელი ხალხის აზრად გასაღების დრო ღვთისკურთხევით მგონია, რომ უკვე გავიარეთ.

რა თქმა უნდა, არც იმ ტრადიციის დავიწყება ეგების საჭირო დაწესებულებებს სოფლის ბუნების მიხედვით გეგმაზომიერად და ჭკვიანურად რომ ანაწილებდნენ ჩვენი წინაპრები. ქვედა ალვში დღეს სკოლაცაა და ხილის მიმღები პუნქტიც, მაღაზიაც და წისქვილიც, სასაწყობო მეურნეობაც და ფერმებიც. მაგრამ დაახლოებით 30 სულიან სოფელ კენაშში, არაფერი ამგვარი არ გაგვაჩნია.

ამით იმის თქმა სულ არ მინდა, რომ იქ, სადაც მოსახლეობა კომპაქტურადაა დასახლებული საჭირო არ იყოს მომსახურების ობიექტების ფუნქციონირება, არა და არა. პირიქით, თუ მშრომელთა მომსახურებაზე გული არ შეგვტკივა სოფელს ცენტრს კი ნუ მოვუშლით, [illegible] სახლეობასთან მო[illegible]ებით შევქმნათ შესაბამისი პუნქტები. სხვადასხვა [illegible] რომ არ [illegible] სოფლის [illegible]ბი. მ[illegible], 170 [illegible]ანი სოფლებით ხომ არც ისე ვართ განებივრებული. ამის ორგანიზატორულ ტექნიკური გადაწყვეტის საშუალებანი ჩვენი რაიონული რგოლის ორგანიზაციებს უთუოდ გააჩნიათ.

რა თქმა უნდა, აქ წერილმა მოითხოვა და კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი იმიტომ დასახელდა, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია საუბარია სამედიცინო პუნქტის, ბიბლიოთეკის და შემდეგ ალბათ სასოფლო საბჭოს გადატანაზეც. თავისთავად ყველაფერი ეს გამოიწვევს თუ არა ჩვენს თვალწინ ტრადიციული სოფლის ცენტრის მოშლას და ვითომ ახალი ცენტრის შექმნას?

ვფიქრობ, რომ გამოიწვევს!

მინდა სწორად გამიგოს მკითხველმა, აქ ალვი მხოლოდ სამაგალითოდაა მოტანილი, მიმოვიხედოთ ჩვენს ირგვლივ. ჩვენსავე მახსოვრობაში რამდენი სოფლის ცენტრი ჩაკვდა და ჩანავლდა. ცენტრის გაუქმება ხომ ფაქტიურად იგივე სოფლის ლიბოს მოშლის საწყისიცაა.

ბოლოს კი ჩვენ მივეჩვიეთ გვიან თითზე კბენას, გავაკეთებთ რაიმეს და შემდეგ მისგან გამოწვეულ შედეგებზე ვიმტვრევთ თავს. დღეს ასეთ დაგვიანებულ თავშიცემას უკვე აღარ გვაპატიებს დამოუკიდებელი საქართველო.

**ზ. ხეცურიანი,**

**რედაქციისაგან:** წერილი გულისტკივილით დაიწერა. ალბათ გამოხმაურებებიც იქნება და უპირველეს ყოვლისა ისეთი ორგანიზაციებისაგან, როგორიცაა: კულტურის განყოფილება, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი, რაისაავადმყოფო, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო და სხვა. თუ ლეჩხუმი გვიყვარს, ჩვენი სოფლის ბედზე ყველას მართლაცდა მამულიშვილურად უნდა შეგვტკიოდეს გული.

# დიდება მოთმინებასა შენსა!

**(დღეს შესრულდა 285 წელი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის დაბადებიდან).**

თითქმის სამი საუკუნე გვაშორებს დიდ ქართველ პოეტს დავით გურამიშვილს, მაგრამ დღესაც ზარის საბედისწერო რეკვასავით ჩაგვესმის მისი შეგონება: დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო! მართლაც, დიდება შენს მოთმინებას უფალო, რამეთუ სამი საუკუნეა ხედავ რამდენი აშკარა თუ ფარული, მოყვრობით შემოპარული თუ ჯიქურ დასალაშქრად მოვლენილი მტერი ჰყავს ქართველობას. სამი საუკუნის წინათ წერდა ერის სატკივარით გულშეწუხებული პოეტი: „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლლილვი, დიდო ქისტი, სრულად ქართლის მტრები იყვნენ, ყველამ მოსდო თითო ქისტი“. მოსდეს და ბევრჯერ წააქციეს კიდეც, რადგან ბოროტად სარგებლობდნენ ჩვენი სტუმართმოყვარეობით და „ინტერნაციონალიზმით“.

მტერი რომ მტერია და ავის მეტს არას გისურვებს და გაგიკეთებს, ეს აშკარაა, მტერს რომ ვაუკაცურად დახვედრა და სამაგიეროს მიზღვა უნდა, არც ეს შეშლია ოდესმე ქართველს, უკანასკნელ ძალთა დაძაბვის საფასურად ზოგჯერ სიკვდილითაც თავისუფლება მოუპოვებია. ალბათ კითხვა გაგიჩნდებათ სულ მარტო იბრძოდა, არავინ ჰყავდა გვერდში მეგობარი და გულშემატკივარი, თუნდაც ისინი, ვინც მის მიწაზე ცხოვრობდნენ, მრავლდებოდნენ და მის მიწაშივე ჰპოვებდნენ უკანასკნელ განსასვენებელს. ჰყავდა, როგორ არ ჰყავდა, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს და უმეტესობა მაინც ანგარების მიზნით უწევდა „მეგობრის ხელს“. სამწუხაროდ, ახლაც ასეა. ზოგნი ჩვენს მიწაზე ცხოვრობენ, ჩვენი მიწა-წყლის მადლს ისაკუთრებენ,

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული გვერდი № 4

# ცისფერი სარწყული

* * *

ლეჩხუმია—
სარეწკელით,
ცხენისწყლით და მურის ციხით.
ლეჩხუმია—
ლადოს დედა,
ნამკაშურის წისქვილებით.
ლამლამობით ლადოს ჩრდილი
ეფერება სარეწკელას,
ლადოს ჩრდილი დადის ყველგან
ცაგერსა და ბარდნალაში.
ცხენისწყალის ლოცვას ისმენს
მოლისფერი ფერდობები,
ციხეები, ნანგრევები,
სევდიანი, ლურჯი მთები.
ღმერთო ჩემო,
აქ რამდენი
ნასახლარი გაჩენილა,
დახავსულა კარები და
ჩამჟუტულა პაპის კერა.
დაუნდობლად ჩაურაზავთ ურდულებით მუხის კარი.
ძველისძველი საფლავები და მდუმარე ნასახლარი.
ენატრება კაცის ხელი დადუმებულ ნასოფლარებს.
სევდით დუმან ლურჯი მთები და ლოდინით ივსებიან
ლეჩხუმია—სევდიანი,
ლეჩხუმია—მომლიმარი,
იმედია მაინც ყველგან, იმედია გადარჩენის,
ლეჩხუმია—
მურის ციხით, ცხენისწყლით და სარეწკელით,
ლეჩხუმია—
ლადოს დედა, ნამკაშურის წისქვილებით.
კლდეთა შორის მომწყვდეული ცხენისწყალი ღელავს, გმინავს,
და იმერეთს ჩაუმღერებს საიდუმლოს ლეჩხუმისას.
ხვამლის მთაზე იბადება მზე, სამყაროს ფარაონი
ხვამლის მთიდან გზავნის სხივებს,
სხივებს გამთბარს სიყვარულით
და ლეჩხუმსაც ეფინება სინათლე და შარავანდი,
ხვამლის მთაზე იბადება ვარდისფერი განთიადი,
აქ თაკვერის სუნთქვას უსმენს ნაჯაფარი ჩემი ხალხი.
ხალხი?!
ხალხი საიმედო, ერთგული და გულალალი.
შიშნარევად ფრთხიალებენ ჯონოულის კალმახები
და სითბოთი ივსებიან ძველისძველი სანახები.
გუმარეშის ყანებიდან მოდის ლადო დაღალული
და კრწანისის ყაყაჩოებს ეფერება ძველებურად,
სპათაგორში ნისლებს ათოვს, ნისლებს—სევდით ნაავადებს
და მარშალი გელოვანი ახალ-ახალ გეგმებს ადგენს.
ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო
და ლეჩხუმიც მათთან ერთად ალამაზებს საქართველოს.
ლეჩხუმია—
სარეწკელით, ცხენისწყლით და მურის ციხით,
ლეჩხუმია
ლადოს დედა,
ნამკაშურის წისქვილებით.

# რატომ და რისთვის?

რთულ ლაბირინთებში მუზა გაიხლართა, ვერ დაალწია თავი.

სარკმელთან ისევ აყვავდა იასამანი. წელიწადში რატომ არ ყვავიან ყვავილნი ორჯერ, თუნდაც სამჯერ, ოთხჯერ. ყვავილი ხომ სიცოცხლის სიმბოლოა, რატომ არ ყვავის სიცოცხლე რამდენიმეჯერ?

რატომ და რისთვის—უპასუხოდ რჩება კითხვები. ილვიძებს ბალი და ყვავილები უმწეოდ ულიმიან ცის კიდურზე შერჩენილ ღრუბლის ნაფლეთს.

სადღაც უხსენებელი გადიზლაზნება ვარდის რტოებზე, თან მბრწყინავ კვალს სტოვებს ქლოროფილით გაჯერებულ მწვანე ფოთლებზე. ჯერაც გაუშლელ ვარდის კოკორზე გესლს დაანთხევს და ბალის კიდისაკენ გაემართება.

ლამაზად მიიზლაზნება უხსენებელი ყვავილებს შორის, დროდადრო თავს წამოსწევს და ავად სისინებს, თითქოს გვაფრთხილებს: მომერიდეთო.

ღმერთო, სადა ხარ, ბოროტება უშიშრად დაძრწის სიცოცხლის სიმბოლოთა ლამაზ რტოებზე.

მუზა გაება რთულ ლაბირინთებში, ვერ დაალწია თავი.

**ნანა აკობიძე.**

# ეჭვი

უეცრად გამოჩნდი მეგობარო,
გადაიღალე განა—
მეალერსე და შეწუხდი, მკითხე:
—ლექსი გაქვს თანა?
მერე გაგახსენდა:—გიჭირს რაიმე?
რადა ხარ ასე მკრთალი?
მართლა ცუდად ხარ—თუ შენებურად
კვლავაც ხარ გრძნობით მთვრალი?..
—სულს ტანჯვაში ვცდი, ჩემო ძვირფასო,
მინდა ავმაღლდე ღვთიური ძალით!
გიპასუხე და მეც გამიკვირდა,
რომ ეჭვიანად შემავლე თვალი.
ვიცინი... გამვლელნი შეფარვით გვიპკრეტენ,
სახეზე მედება ალი...
უკვირთ... ჭორაობენ, ნუთუ ეს ის არის?
მუდამ კუშტი და მწყრალი?..
ჩემთან ფიქრია და მყუდროება,
მუსიკაც ძალზე წყნარი...
ფანჯარას იქით გაზაფხულია
და წარუშლელი კვალი...
რა ვუყოთ, თუკი მუზა მაწვალებს,
თუ ავაჟღერე ქნარი...
ეჭვი მკლავს, ლექსი უფრო გიყვარს ძვირფასო,
თუ მეგობარი ქალი?

ნაირა ლეშკაშელი.

# სოფლად

დაღლილი და ქანცი
აქეთ მოქრის მანქანა,
აღმართს მისდევს მესერი
და ნაცნობი გზა-შარა.
ორღობეებს ქოთნების ჩამოუცვამთ ქუდები,
ხელს მიწვდიან ხეხილის დახუნძლული ტოტები,
ჩამომსხდარან მავთულზე ბეღურების გუნდები,
ისე გამწკრივებულან, როგორც ხაზზე ნოტები.
დასეირნობს ეზოში ვარიების ამალით
მედიდური იერით დონჟუანი მამალი,
თხილიანში დედალთან პაემანს რომ მიელის.
მასპინძელი ოდაში მიპატიჟებს ხელგაშლით
და ხელდახელ პურმარილს აივანზე ხელად შლის.
შებოლილი სულგუნი დნება ღომის ლავაში,
აქ წიწილის ტაბაკა იბრაწება კეცებში.
როგორც ჩვენი დედის მკერდს თონეს ეკვრის ლავაში,
ფერდში ლონდი გაუდის ფურცლებად ნაკეცებში.
დაღლილი და ქანცი
აქეთ მოქრის მანქანა,
ოცნება რომ აშალა
მეგებება სოფელი
და ნაცნობი გზა-შარა.

# მონატრება

მომნატრებია ლულუნეთი...
იქ ჩემი სახლი დგას და
არ აწუხებს
სტუმრობა ხშირი...
ჩაუქროლია სიჭაბუკეს...
ხატს სანთელს ვუნთებ,
ვით მარტოხელა
უდაბნოს მწირი...
დამმეგობრებია მუზა ეული...
არ მაქვს უფლება,
რომ ვიყო
მოთნე...
მომნატრებია ლულუნეთი...
და ვეფერები
ბებერი მუხის
დაცვენილ ფოთლებს.

დარეჯან ჩორგოლიანი.

# ღმერთი რომ ჩამოსულ იყო, რას იტყოდა...

(ჩანახატი)

ოდნავ შელეწია ალიონს მხრები, მდუმარე მივჩერებივარ ცაზე აქა-იქ შერჩენილ ღრუბლის ქულებს და ვფიქრობ, სადაცაა ციდან წვიმის მსხვილ-მსხვილი წვეთები დაეშვება.

უცებ ვიგრძენი როგორ შემეხო ბებიაჩემის თბილი, დაკოჟრილი ხელები და წყნარი, ლოცვისმაგვარი ბუტბუტი გავიგონე.

რვა წლის იყო, როცა დედა მოუკვდა, ოთხი თვის მეტი სკოლაში არ უვლია, ობოლი და შიმშილში გაზრდილი თხუთმეტი წლისა გაათხოვეს.

ყველაფერი ერთი სევდიანი ზღაპარივით დაიწყო, ერთ პატარა უცნაურ სიზმარს დაემსგავსა. ცხოვრება გადაგაქცევს უსახო ქმნილებად, გაგფანტავს. თუმცა დასაწყისიდან დასასრულამდე რა დიდი გზაა, მაგრამ ამ ტიალ წუთისოფელს მაინც თავისი გააქვს, ტანჯვა-წამება, დარდი და ურვა—ალბათ ასე დაანათლეს იმ ლამაზი მთვარიანი ღამის პატარა სტუმარს, რათა გზა ყველა მოკვდავისა ჭირთა თმენაა და მისწრაფება ტაძრისაკენ ლოცვით, ნუგეშით.

რამდენი ტანჯვის მომსწრეა მოსიყვარულე თვალები, რამდენ ცრემლს უწვიმია უილბლო, ტანჯულ ცხოვრებაზე. დიდმა სამამულო ომმა კაცური ცხოვრების მძიმე უღელი აჰკიდა. ობლად დარჩენილი შვილები დედისა და ღმერთის ანაბარად დაჰყარა.

ქალი გუთანს ეკიდა, უხაროდ მოსახლე არ შეიძლებოდაო, ამ სიტყვების თქმასთან ერთად სახე ებაბება და ვგრძნობ, რომ ენით უთქმელი მწუხარება ჩაბუდებულა ტანჯული ქალის გულში.

ოცდაოთხი წლისამ შვილის სიმწარე გამოსცადა.

ყველაფერი შავ ძაფზე აეწყო, გადამწკრივდა.

„რა გითხრა, კარგი არა მინახავს რაო"!—აკი თქვა.

რაა ცხოვრება, მითუმეტეს ჩვენთვის, კაცთათვის, ზოგთათვის ლხინია, ზოგთათვის ჭირთა თმენაა. ტკივილი არ აკმარა ბუნებამ დედის და მეორე შვილიც მოუკლა, რომელმაც სამარადისო სანუგეშებლად ობლები დაუტოვა...

უნებურად სახეზე გაჩენილ ღარებს, წლებს თავისი გააქვთ... ფოთლებდაფენილ ხეს ემსგავსება შვილმკვდარი დედა... რას დუდუნებს ბებერი გული, ბებერი ძარღვი? ალბათ იფიქრებ: შეინძრა სიმი ისე წყნარად, ყურთასმენის დამახშობელი უნებური კვნესა გაისმა ატირებული გულისა.

ეს ქალი ღმერთმა ჭირთა თმენისთვის შვა...

შავი ძაძები სულ-ხორცთან შესისხლხორცებული, შეთვისებული და სამარადო ჭირის თანაზიარად გადაქცეული, მისი ჯიუტი ცრემლით ამოვსებული თვალები, უზადო სევდა, დიდი ცხოვრების ყვითელი კარიბჭე, შეუვალი...

როცა სიტყვებსაც არ შეუძლიათ სანუგეშებელი რამ უთხრას დარდად და მოლოდინად ქცეულს, ღიმილშემშრალი ტუჩებით ტკბილ სიტყვას ლაღადებს, ეტყობა ცხოვრებას რა მწარედ დაუჩნევია დაუნდობელი ხელი.

და მაინც ძველებურად ტრიალებს ბედის ბორბალი, სევდიანი დედაბოძი ზის კარისნაგერაზე და სივრცეს გასცქერის...

**მთვარისა ბენდელიანი.**

## სად გსურთ ისწავლოთ?

## ქუთაისის მსუბუქი მრეწველობის სასწავლებელი (ყოფილი №42 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი) აცხადებს მოსწავლეთა მიღებას

**1990-91 სასწავლო წლისათვის მკერავის პროფესიის დასაუფლებლად.**

სასწავლებლის სახელწოდების შეცვლასთან ერთად შეიცვალა სწავლების შინაარსი და ფორმები: ფაქტიურად ეს არის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მესამე საფეხური გაძლიერებული მწარმოებლური შრომით. ქალისა და ბავშვის მსუბუქი ტანსაცმლის მკერავის პროფესიის დაუფლებით.

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის 9 კლას დამთავრებულნი, ნაცვლად ადრე არსებული სამწლიანი სწავლებისა, ახალი სასწავლო წლიდან ისწავლიან 2 წელს და მიიღებენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ტოლფას ატესტატს კერვის პროფესიის ატესტატთან ერთად. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია ქარგვის, ქსოვისა და კოსმეტიკის შესწავლა. ეს საგნები შეტანილი იქნება გაკვეთილების ცხრილში. წარჩინებით კურსდამთავრებულნი სარგებლობენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ვერცხლისა და ოქროს მედალოსნის უპირატესობით.

სრული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სწავლების ვადა 10 თვეა. ისინი მიიღებენ პროფესიის შესაბამის დიპლომს. მათთვის სტიპენდია 70 მანეთია. ამ კატეგორიის წარჩინებით კურსდამთავრებულები სარგებლობენ საშუალო სკოლის მედალოსნის უპირატესობით პროფილის შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში.

როგორც ორწლიანი, ისე ათთვიანი სწავლების ვადით კურსდამთავრებულები სარგებლობენ უფლებით სწავლა გააგრძელონ უმაღლეს სასწავლებელში. როგორც დღის, ისე საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე სასწავლებლის დამთავრებისთანავე. სასწავლებელში მიიღებიან აგრეთვე 9 კლასის განათლების მქონე ახალგაზრდები, რომელთაც სურთ მიიღონ მხოლოდ პროფესიული ცოდნა. მათთვის სწავლების ვადა 1 წელია. მათ შეუძლიათ სასწავლებელში სწავლასთან ერთად დაამთავრონ საღამოს სწავლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

სწავლების ყველა ფორმაზე სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ საწარმოო სტაჟად.

სასწავლებელში მოხდება დამამთავრებელი ჯგუფების მოსწავლეთათვის უფასო მომზადება მათემატიკასა და ქიმიაში უმაღლესში მისაღები პროგრამების შესაბამისად.

სასწავლებლის კურსდამთავრებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი ქალაქის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, ძირითადად კი ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებაში, სადაც ხელფასი 250 მანეთზე მეტია და შექმნილია მუშაობის საუკეთესო პირობები.

სასწავლებლის სრული კურსის დამთავრების შემდეგ (როგორც სრული, ისე არსებული საშუალო განათლების ბაზაზე) მსურველებს შეუძლიათ გაიარონ სპეციალური მომზადება 3-4 თვის გახანგრძლივებით მექანიკ-მონტიორის, გამომჭრელის პროფესიების დასაუფლებლად. ისინი მიიღებენ დამატებითი პროფესიების დიპლომს.

სწავლების ყველა ფორმაზე ახალი სასწავლო წლიდან 5 დღიანი კვირეული დატვირთვაა. დასვენების დღეებია შაბათი და კვირა.

მეცადინეობა დაიწყება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შესაბამისად. არდადეგებიც დაემთხვევა საშუალო სკოლის მოსწავლეთა არდადეგებს.

დიფერენცირებული სწავლების შემოღებისა და რეორგანიზაციის შედეგად მივიღეთ სასწავლებელი, რომლის დამთავრების შედეგად გოგონები შეისწავლიან ქალისათვის დიდად საჭირო პროფესიებს. კერვის, ქარგვის, ხელით ქსოვისა და კოსმეტიკის. ამასთან ერთად უფლება ექნებათ სწავლა გააგრძელონ ნებისმიერ უმაღლეს თუ სპეციალურ სასწავლებელში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლის დირექციას:

მისამართი: კოსმონავტების ქ. №65

ტელ. 6-31-75, 6-79-25.

ავტ. №1, 5, 11, 19, 28.

**სასწავლებლის დირექცია.**

## შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებიდან გვატყობინებენ

მიმდინარე წლის 11 აგვისტოს სოფელ ალპანის ტერიტორიაზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა.

საღამოს 22 საათზე წყალტუბოდან ამბროლაურისაკენ მოძრაობდა ავტომანქანა „გაზ—968“, სახელმწიფო ნომერი—02974-გრ, რომელიც ეკუთვნის შოთა გერონტის ძე ელიავას და მინდობილობით მართავდა ნოდარ ოთარის ძე გავაშელი. ალპანის ტერიტორიაზე შეხვდა ავტომანქანა „ზილ—130“, სახელმწიფო ნომერი 6242—გაო, კუთვნილი ქ. ქუთაისის ავტოკოლონა №2653, რომელსაც მართავდა გრიგოლ შენგელის ძე ფრუიძე. იგი გადავიდა მსუბუქი ავტომანქანის გზის სავალ ნაწილზე და შეეჯახა. რის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და მიიმალა.

გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად გ. ფრუიძე დაკავებული და წარმოდგენილ იქნა შ. ს. რაიონულ განყოფილებაში მეორე დღეს 12 აგვისტოს.

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს სხეულის დაზიანება მიიღო მსუბუქი ავტომანქანის მძღოლმა ნოდარ გავაშელმა და მისმა მეუღლემ მადლენა ელიავამ, რომლებიც მოთავსებული იქნენ ალპანის საუბნო საავადმყოფოში.

საქმეს იძიებს შინაგან საქმეთა ცაგერის რაიონული განყოფილება.

## დიდება მოთმინებასა შენსა!

(დასასრული).

ჩვენ კი მშობლიურს გვედავებიან და გვართმევენ, ზოგნიც ჯიქურ მოდის, აქაოდა მანდ ჩვენი წინაპრის წინაპრები ცხოვრობდნენ თურმე მშვენიერ ადგილებში და ის დაგვიბრუნეთო. საქართველო გვიყვარსო, გაიძახიან, ქართველები არა ვართო, ამასაც გვეუბნებიან, ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებსო, ამას ჰქვია სწორედ, ზოგს დასავლეთ საქართველო უნდა, ზოგი აღმოსავლეთ საქართველოს მშვენიერ მიწებს ეპოტინება და თურმე ჩვენი, ქართველების ადგილი აღარსად ყოფილა, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ამას ტიროდა დავით გურამიშვილიც, ოღონდ სამი საუკუნის წინ, როცა წერდა: „დამცირდნენ მაჭლით მოყვრები, ცოდვით გამრავლდნენ მტრებიო“. კაცი, რომელიც მრავალი ქვეყნის მოწინავე საზოგადოებამ ძმობისა და მეგობრობის მომღერალ პოეტად მონათლა, ჩვენთვის საბედისწერო ძმათა ღალატსაც მისტიროდა, ამის ნათელსაყოფად მისი რამდენიმე ფრაზაც საკმარისია „მერე შიგნით აირივნენ, ძმამ მოუდო ძმასა ყისტი“, ანდა „კახელების ალმა ხნული, ქართველებმა დალმა ფარცხეს“. საშინელი სენი ძმათა ღალატისა, არდანდობისა ალბათ ყველაზე მეტად ჩვენ, ქართველებს, გვხრავს. თუ ოდნავ ვინმე სხვათაგან რამე ნიჭით გამორჩეული გამოჩნდა, მაშინვე [illegible] ვეცდებით [illegible] ძმა ძმას არ ინდობს მცირედი შეცდომისათვის, მეგობარი მეგობარს და გარედან თუ სხვები გვანადგურებენ, შიგნიდან ჩვენ ვანადგურებთ ერთმანეთს. გურამიშვილი წერდა, რომ ერთმანეთის მოქიშპე ქართლი და კახეთი, ორი განუყრელი ნაწილი ჩვენი ქვეყნისა, ერთმანეთთან ჩხუბით დაღლილი და დაქანცული მუდამ საკბილოს მძებნელი მტრის წერა ხდებოდა.

და ბოლოს, უხილავი და იდუმალი ძაფებია გაბმული მე-18 საუკუნესა და დღევანდელობას შორის, მის ერთ ბოლოში ჩვენ ვართ, დღევანდელობის შვილები, მეორე ბოლო კი გურამიშვილთან მიდის, კაცთან, რომელსაც თვალწინ მუდამ სამშობლო და მშობელი ხალხის ხატება ედგა, მუდამ მისი ერთგული იყო, სურდა ამ ხატებას წინ გაძღოლოდა და ბიბლიური მოსესავით მშობელი ხალხი სამშვიდობოს გაეყვანა.

დღეს, როცა საქართველოში ასეთი დაძაბული სიტუაციაა, გურამიშვილი რომ ცოცხალი ყოფილიყო ალბათ ახალ „ქართლის ჭირს“ დაწერდა და მომავლის რწმენით გულმოცემული ქართველის თავისუფლების საგალობელსაც მიაყოლებდა.

**მადონა მახაროგლიძე.**

**რედაქტორი ნ. ნემსაძე.**

---

მეუღლე კაპიტო ახვლედიანი, დები პასიკო, კლავდია გოლეთიანები, მულები ნადია, მაშიკო, მაზლი პოლიაქტოზი, დისშვილები, მულისშვილები, მაზლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ქეთევან ეგნატეს ასული გოლეთიანი-ახვლედიანი.**

დაკრძალვა 25 აგვისტოს, შაბათს, სოფ. ღვში.

---

ბიძები ზაური, ბიკენტი, ვიტალი ბობოხიძეები, ბიცოლები ზამელი, ნაზიკო, ანიკო, ბიძაშვილები ქეთინო, ზაზა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯაბული ჟორას ძე მუშკუდიანი.**

---

ცეცილი ბობოხიძე, ელიკო კოპალიანი, ქეთინო მეშველიანი, ნანული სილაგაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯაბული ჟორას ძე მუშკუდიანი.**

---

მეზობლები გელა, ბადრი ხეცურიანები, ჯიბილო, ომარი, ჰეჰიკო, გრიშა, შალვა, მარლენ მიქაძეები, ჟორა ირემაძე, იური, ჯემალ სილაგაძეები, ვახტანგ ახვლედიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ქეთევან გოლეთიანი-ახვლედიანი.**

---

შურმან, ბორის ჯიაძეები, შოთა ბობოხიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯაბული ჟორას ძე მუშკუდიანი.**

---

შვილები უჩა, ძაძუ, კოწია, მიშა, გრიგოლი, რძლები ლოლა, ნადია, დოდო, მაყვალა, სიძეები ბუჭუ გურგუჩიანი, გელა მანდარია, მურმან ლაზარენკო, ზურაბ გიგაშვილი, შვილიშვილები იამზე, ნანი, მადონა, მარინე, ზინა, გენადი, მაია, ეკა, ირაკლი, იაზა, ლუიზა, გულიზა, მაია, მამუკა, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბაბი ვასილის ასული სალინაძე-ბურჯალიანი.**

დაკრძალვა 21 აგვისტოს, სამშაბათს, სოფ. ორბელში.

---

ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ აზა, ანზორ ნემსწვერიძეებს დედისა და სიდედრის

**ოლია ყვირილიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ტრესტკოლხიდმშენის №1 მოძრავი მექანიზებული კოლონის ცაგერის სამშენებლო უბანი თანაუგრძნობს სოზარ კოპალიანს მამის

**ნოდარ კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის კოლმეურნეობის აპარატის მუშაკები თანაუგრძნობენ სოზარ, შურმან, ნათელა კოპალიანებს მამისა და ბიძის

**ნოდარ კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შინაგან საქმეთა ცაგერის რაიონული განყოფილების დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ალვინა კოპალიანს და ზაურ ასათიანს მაზლიშვილისა და მამიდაშვილის

**ჯაბული ჟორას ძე მუშკუდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ბარდნალის საშუალო სკოლის 1980 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი

**ჯაბული ჟორას ძე მუშკუდიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ადგილმრეწველობის კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინო კოპალიანს მამის

**ნოდარ კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნუნუ კოპალიანს ბიძის

**ნოდარ კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ალპანის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ დემურ ყვირილიანს დედის

**ოლია ყვირილიანის**

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, [illegible] 66529, შეკვეთა [illegible]

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.